საგადახდო დავალება No 13468

Transfer Order No 13468

ვალუტირების თარიღი/Value Date: 28/03/2016 რეფერენსი/reference: 4308560864

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს #5 კლინიკური საავადმყოფო

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE74BG0000000348202900GEL

თანხა/Amount
8 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს #5 კლინიკური საავადმყოფო

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
200010674

მიმღების დასახელება/Recipient
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
28/03/2016

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000616, 29/02/2016. საჯარიმო სანქცია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 13468

Transfer Order No 13468

ვალუტირების თარიღი/Value Date: 28/03/2016 რეფერენსი/reference: 4308560864

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს #5 კლინიკური საავადმყოფო

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE74BG0000000348202900GEL

თანხა/Amount
8 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს #5 კლინიკური საავადმყოფო

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
200010674

მიმღების დასახელება/Recipient
ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
28/03/2016

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000616, 29/02/2016. საჯარიმო სანქცია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: შ.ა. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 4-3/ე01-3/15 31.12. 2015წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის, საქმეში არსებული გარემოებები მოითხოვენ დამატებით გამოკვლევასა და შესწავლას

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის 29 სექტემბრის №000616 მითითების საფუძველზე (შემოწმების აქტი №000616 შედგენილი 2015 წლის 02 ნოემბერს) **შ.პ.ს. „№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს** მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელებულ იქნას 2 (ორი) თვით.

2. **შ.პ.ს. „№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს** მიმართ საქმის განხილვისათვის გაგრძელებული ორთვიანი ვადა აითვალოს 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 29 თებერვლამდე.

3. დაევალოს სამსახურის ადმინისტრაციულ საქმეთა სამმართველოს სამართალდარღვევის საქმისწარმოების განყოფილებას, სამართალდამღვევს სათანადო წესით აცნობოს საქმის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე.

4. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი — გ. უკლება

გაეგზავნა ელ-ფოსტით 11.03.2016წ.

11.03.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 235-16

"29" 02

დადგენილება №000616
2016 წ. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

29.02.2016წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2015 წლის 29 სექტემბრის №000616 მითითება და 2015 წლის 02 ნოემბრის №000616 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №200010674, დირ. დავით ხაზარაძე (პირადი №01008001920), მის: ქ. თბილისი, თემქა, XI მ/რ, I კვარტალი) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის I-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, თემქის დასახლება, XI მ/რ, I კვარტალი, ნაკვეთი №1/47-ში (საკ. კოდი №01.12.04.001.047 განხორციელებულია სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. კერძოდ, დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1999221 AR1324155 08.07.2015წ. გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნები. გენგეგმა: ტერიტორიაზე მოწყობილია ავტოსადგომის და მოსასვენებლის ფარდული, ერთსართულიანი შენობა (საამქრო), საამქროს წინ განლაგებულია დანადგარები, კაფესთან მოწყობილია ნაგებობა და კაფეზე მიშენებები, №3/1 შენობაზე მოწყობილია მიშენება B ბლოკის მიმდებარედ განლაგებულია დანადგარები. ეზოში მოწყობილია სავენტილაციო შახტები. ეზოს უკანა მხარეს მოწყობილია ბეტონის სავალი ბილიკი. C ბლოკის წინ ეზოში მოწყობილია მონოლითური კოლონები, D ბლოკზე განხორციელებულია კაპიტალური მიშენება. ფასადები: A ფასადის "5-1" მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. მოწყობილია ლიფტი და პანდუსი, ასევე მოწყობილი სარეკლამო აბრა გაზრდილია გაბარიტებში, ამავე ბლოკის სახურავზე მოწყობილია ტექნიკური სათავსო. "14-7" ფასადზე +2.90 ნიშნულზე შეცვლილია ფრამუგების გაბარიტები. B ბლოკის "7-1" ფასადის +0.00 ნიშნულზე საფეხურების კიბის რაოდენობა არ ემთხვევა დადასტურებულს, "2-1" მონაკვეთში მიშენებაზე ფანჯრის მაგივრად მოწყობილია კარები, C და D ბლოკების წინა მხარეებზე სამუშაოები განხორციელებულია შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. დარღვეულია წითელი ხაზები, კერძოდ, ტერიტორიის დასავლეთ და სამხრეთ მხარეებში ღობეები გასულია სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ქ. თბილისი 0160. ჯ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 29 სექტემბერს შედგენილ იქნა მითითება №000616, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2015 წლის 02 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000616, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2015 წლის 10 დეკემბერს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს წარმომადგენელი ზურაბ კუხალაშვილი (პირადი №01030018544, მინდობილობა №378/01 18.06.2015წ., გაცემული გენერალური დირექტორის დავით ხაზარაძის მიერ), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს წითელი ხაზების გასწორებასთან დაკავშირებით მუშაობა და აპირებენ არსებული სახით წითელი ხაზების გასწორებას. მანვე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება მითითებაში არსებულ დარღვევას უნებართვოდ ობიექტების მოწყობასთან დაკავშირებით, რადგანაც მათ მოპოვებული ჰქონდათ უფლება ობიექტის რეკონსტრუქციის და არ მომხდარა მშენებლობა ახალი ობიექტების. მხარემ ითხოვა დამატებითი ვადა დარღვევების გამოსასწორებლად. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის №4-3/201-გ/15 31.12.2015წ. ბრძანებით, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელებულ იქნა 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 29 თებერვლამდე.

2016 წლის 23 თებერვალს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის თ. დვალის 29.02.2016წ. მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ დღეისმდგომარეობით შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს მიერ ნაწილობრივ არის შესრულებული სამსახურის №000616 29.09.2015წ. მითითების მოთხოვნები, კერძოდ, მითითებაში აღნიშნული უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები მოქცეულია საკ. კოდი №01.12.04.001.047-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მ/რ, I კვარტალი, ნაკვეთი №1/47) წითელ ზაზებში. მითითებაში აღნიშნული სხვა დარღვევები მხარის მიერ არ არის გამოსწორებული ადგილზე, საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; სამსახურის აზომვითი ნახაზი 29.02.2016წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის I-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, თემქის დასახლება, XI მ/რ, I კვარტალი, ნაკვეთი

№1/47-ში (საკ. კოდი №01.12.04.001.047 განხორციელებულია სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "შშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონი "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, თემქის დასახლება, XI მ/რ, I კვარტალი, ნაკვეთი №1/47-ში (საკ. კოდი №01.12.04.001.047), სამსახურის №000616 29.09.2015წ. მითითებაში აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელებისათვის;

2 შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს დაევალოს ქ. თბილისში, თემქის დასახლება, XI მ/რ, I კვარტალი, ნაკვეთი №1/47-ში (საკ. კოდი №01.12.04.001.047) უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი;

3. შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სახარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "№5 კლინიკური საავადმყოფო"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ღირებობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).**

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაყელი